<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №360160000.05.001.017511. 02.10.2014) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ა) ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად, ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად და მისი მდგრადი გამოყენებისათვის უზრუნველყოს საქართველოს ტერიტორიაზე ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გარემოში ინტროდუქციის, საბაზრო ქსელში განთავსების, იმპორტისა (გარდა მათი ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების მიზნით იმპორტისა და საქართველოს ტერიტორიაზე ცხოველის საკვების წარმოების მიზნით გადამუშავებისთვის დაშვებული ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის იმპორტისა) და რეექსპორტის აკრძალვა ამ სფეროში საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად;“.

2. მე-4 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „გ[1]“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ე) გარემოში ინტროდუქცია – გენმოდიფიცირებული ორგანიზმის გარემოში გამიზნული შეტანა;“;

გ) პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ზ) საქმიანობის განმახორციელებელი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც გენმოდიფიცირებულ ორგანიზმს ჩაკეტილ სისტემაში იყენებს ან ახორციელებს ცხოველის საკვების წარმოების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებული ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის იმპორტსა და გადამუშავებას ;“.

3. მე-7 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2[1] პუნქტი:
„2[1]) გენმოდიფიცირებული ორგანიზმის იმპორტი და გადამუშავება ნებადართულია, თუ იგი მიეკუთვნება საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებული გენმოდიფიცირებული ორგანიზმის სახეობას.“;

ბ) მე-3-მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3. გენმოდიფიცირებული ორგანიზმის ჩაკეტილ სისტემაში გამოყენება, აგრეთვე, ცხოველის საკვების წარმოების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებული

გენომიდიფიცირებული ორგანიზმის იმპორტი და გადამუშავება საჭიროებს შესაბამის ლიცენზიას, რომელსაც გასცემს სამინისტრო.
4. ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების, აგრეთვე, საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებული, ცხოველის საკვების წარმოებისთვის განკუთვნილი, გენმოდიფიცირებული ორგანიზმის (გარდა სიმინდის, ხორბლისა და ვაზისა) იმპორტისა და გადამუშავების ლიცენზია გაიცემა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, ამ კანონითა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.
5. ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების ლიცენზია, აგრეთვე, საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებული, ცხოველის საკვების წარმოებისთვის განკუთვნილი, გენმოდიფიცირებული ორგანიზმის (გარდა სიმინდის, ხორბლისა და ვაზისა) იმპორტისა და გადამუშავების ლიცენზია არ აუქმებს და არ ცვლის საქართველოს ტერიტორიაზე შესაბამისი საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო ნებისმიერ სხვა მოთხოვნას, ნებართვას/ლიცენზიას.“.

4. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 10^1 მუხლი:

„10^1. საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებული, ცხოველის საკვების წარმოებისთვის განკუთვნილი, გენმოდიფიცირებული ორგანიზმის (გარდა სიმინდის, ხორბლისა და ვაზისა) იმპორტისა და გადამუშავების ლიცენზია
1. ცხოველის საკვების წარმოების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის იმპორტი და გადამუშავება შესაბამის ლიცენზიას საჭიროებს.
2. ლიცენზია გაიცემა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებული ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის იმპორტსა და გადამუშავებაზე, ცხოველის საკვების წარმოების მიზნით.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიის გაცემა დაშვებულია მხოლოდ იმ სახეობის ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის იმპორტსა და გადამუშავებაზე, რომელიც რეგისტრირებულია ევროკავშირის გენმოდიფიცირებული სურსათისა და ცხოველთა საკვების რეესტრში, ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებული გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სახეობები მტკიცდება და განახლდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. საქართველოს ტერიტორიაზე დაუშვებელია ცოცხალი გენმოდიფიცირებული სიმინდის, ხორბლისა და ვაზის იმპორტი.
4. ამ მუხლით გათვალისწინებული ლიცენზიის მისაღებად განაცხადი სამინისტროში შეტანილი უნდა იქნეს როგორც წერილობით, ისე ელექტრონული ფორმით და იგი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს.
5. ამ მუხლით გათვალისწინებული ლიცენზიის მისაღებად სამინისტროში შეტანილ განაცხადს უნდა ერთვოდეს:
ა) ლიცენზიის მაძიებლის საიდენტიფიკაციო მონაცემები;
ბ) მოკლე ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ, მათ შორის, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების არეალისა და მისი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისგან,

დაცული ტერიტორიებისგან, რეკრეაციული სივრცეებისგან და ტყის ფონდისგან დაშორების შესახებ;

გ) ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის დახასიათება;

დ) ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტითა და გადამუშავებით გამოწვეული პოტენციური საფრთხის (რისკის) შეფასება;

6. საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებული, ცხოველის საკვების წარმოებისთვის განკუთვნილი, გენმოდიფიცირებული ორგანიზმის (გარდა სიმინდის, ხორბლისა და ვაზისა) იმპორტისა და გადამუშავების ლიცენზია გაიცემა, თუ:

ა) ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილ პირობებს;

ბ) ლიცენზიის მაძიებლის მიერ უზრუნველყოფილია უსაფრთხოების ყველა ზომა, რომლებიც უზრუნველყოფს საფრთხის თავიდან აცილებასა და აღმოფხვრას, მათ შორის, პოტენციური საფრთხის (რისკის) შეფასებისას გათვალისწინებულია სათანადო დაშორება საქმიანობის განხორციელების ადგილსა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, დაცულ ტერიტორიებს, რეკრეაციულ სივრცეებს და ტყის ფონდს შორის;

დ) ლიცენზიის გაცემის დამატებითი პირობები შესაძლოა განისაზღვროს საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

7. საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებული, ცხოველის საკვების წარმოებისთვის განკუთვნილი, გენმოდიფიცირებული ორგანიზმის (გარდა სიმინდის, ხორბლისა და ვაზისა) იმპორტისა და გადამუშავების ლიცენზიის მფლობელი ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებელისას ვალდებულია, შეასრულოს შემდეგი პირობები:

ა) მიიღოს უსაფრთხოების ყველა ზომა და უზრუნველყოს, რომ არ მოხდეს ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის გარემოში ინტროდუქცია ან/და სხვა პროდუქტებთან შერევა მისი იმპორტის, ტრანპორტირების, შენახვისა და გადამუშავებისას;

ბ) უზრუნველყოს გენმოდიფიცირებული ორგანიზმების მიკვლევადობა იმპორტის, ტრანსპორტირების, შენახვისა და გადამუშავების ყველა ეტაპზე;

გ) შეინახოს და განაახლოს ინფორმაცია იმპორტირებული ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ადგილწარმოშობის, რაოდენობის, ტრანსპორტირების, შენახვის, გადამუშავებისა და გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტის შემდგომი გამოყენების/განკარგვის შესახებ;

დ) დაიცვას ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის ტრანსპორტირების წესები;

ე) დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ;

ვ) დაიცვას ამ მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პოტენციური საფრთხის (რისკის) შეფასების საფუძველზე სამინისტროს მიერ განსაზღვრული პირობები;

ზ) ლიცენზიის დამატებითი პირობები შესაძლოა განისაზღვროს საქართველოს მთავრობის დადგენილებით.“.

5. მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 11. ადმინისტრაციული წარმოება

1. სამინისტრო ამ კანონის მე-10 და 10^1 მუხლებით განსაზღვრული ლიცენზიების გაცემისათვის ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, ამ კანონისა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.

2. სამინისტრო ამოწმებს ამ კანონის მე-10 და 10^1 მუხლებით განსაზღვრული ლიცენზიების მისაღებად შეტანილი განაცხადების კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას. სამინისტრო უფლებამოსილია განმცხადებელს მოსთხოვოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვის სრულყოფილი შემოწმებისათვის საჭირო დამატებითი ინფორმაციის წარდგენა, თუ ეს აუცილებელია შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.“.

6. მე-12 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ კანონის მე-10 და 10^1 მუხლებით განსაზღვრული ლიცენზიების გაცემის ან ლიცენზიების გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებებს სამინისტრო იღებს შესაბამისი განაცხადის წარმოებაში მიღებიდან 30 დღის ვადაში.“;

ბ) მე-3-მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ კანონის მე-10 და 10^1 მუხლებით განსაზღვრული ლიცენზიების გაცემის, მათში ცვლილების შეტანის, მათი მოქმედების შეჩერების, განახლების ან მათი გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებებს სამინისტრო აქვეყნებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ამ კანონის მე-10 და 10^1 მუხლებით განსაზღვრული ლიცენზიების ფორმები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

5. ამ კანონის მე-10 და 10^1 მუხლებით განსაზღვრული ლიცენზიების მიღებისათვის ლიცენზიის მაძიებელი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იხდის სალიცენზიო მოსაკრებელს.“;

გ) მე-7-მე-9 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. დაუშვებელია ამ კანონის მე-10 და 10^1 მუხლებით განსაზღვრული ლიცენზიების გაცემაზე უარის თქმა გასაცემი ლიცენზიების რაოდენობის შეზღუდვის მოტივით, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევისა.

8. ამ კანონის მე-10 და 10^1 მუხლებით განსაზღვრული ლიცენზიების სხვა პირისათვის გადაცემა აკრძალულია.

9. ამ კანონის მე-10 და 10^1 მუხლებით განსაზღვრული ლიცენზიების მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების შესრულება კონტროლდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

7. მე-15 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 15. საქმიანობის განმახორციელებლის ვალდებულებები გენმოდიფიცირებული ორგანიზმის ჩაკეტილ სისტემაში გამოყენებისას“.

8. 22-ე მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. აკრძალულია გენმოდიფიცირებული ორგანიზმის იმპორტი (გარდა ამ კანონით გათვალისწინებული მისი ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების მიზნით იმპორტისა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული იმ ცოცხალი გენომიდიფიცრებული ორგანიზმის იმპორტის შემთხვევებისა, რომელიც გადამუშავდება ცხოველის საკვების წარმოების მიზნით) და რეექსპორტი. ამ მოთხოვნის დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. გენმოდიფიცირებული ორგანიზმის იმპორტისათვის/რეექსპორტისათვის ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვაზე სახელმწიფო ზედამხედველობასა და კონტროლს ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური. იგი ვალდებულია გენმოდიფიცირებული ორგანიზმის იმპორტის (გარდა ამ კანონით გათვალისწინებული მისი ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების მიზნით იმპორტისა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული იმ ცოცხალი გენომიდიფიცრებული ორგანიზმის იმპორტის შემთხვევებისა, რომელიც გადამუშავდება ცხოველის საკვების წარმოების მიზნით)/რეექსპორტის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს სამართალდამცავ ორგანოებს, ხოლო გენმოდიფიცირებული ორგანიზმის ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების, აგრეთვე, ცხოველის საკვების წარმოების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებული ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის გადამუშავების მიზნით იმპორტის შემთხვევაში – სამინისტროს წარუდგინოს ინფორმაცია იმპორტირებული გენმოდიფიცირებული ორგანიზმის რაოდენობისა და მწარმოებლის შესახებ.“.

9. 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2^1. საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებული ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის გადამუშავების მიზნით ტრანსპორტირებისას თანდართულ დოკუმენტაციაში მითითებული უნდა იყოს:

ა) რომ იგი საქართველოში დაშვებული ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმია, განკუთვნილი არ არის გარემოში ინტროდუქციისათვის და მისი ტრანსპორტირება ხორციელდება მისი გადამუშავების მიზნით მხოლოდ ცხოველის საკვების წარმოებისთვის;

ბ) შესაბამისი საკონტაქტო პირის სახელი, მისამართი და სხვა ცნობები ტვირთის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად.“.

10. 27-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

„1. სამინისტრო ქმნის ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ერთიან რეესტრს, რომელშიც აღირიცხება ამ კანონით ნებადართული გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ ინფორმაცია. ამ რეესტრის დოკუმენტურ ვერსიასთან ერთად იქმნება ელექტრონული ვერსია, რომელიც სპეციალურ ინტერნეტგვერდზე განთავსდება.“;

ბ) მე-2 პუნქტის:

ბ.ა) „ბ“ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების ლიცენზიის, აგრეთვე, საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებული, ცხოველის საკვების წარმოებისთვის განკუთვნილი, გენმოდიფიცირებული ორგანიზმის (გარდა სიმინდის,

ხორბლისა და ვაზისა) იმპორტისა და გადამუშავების ლიცენზიის გაცემის ყოველი კონკრეტული შემთხვევის შესახებ ინფორმაცია, რომელშიც აღწერილია შესაბამისი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის ზოგადი მახასიათებლები და მითითებულია ლიცენზიის მიმღები;";

ბ.ბ) „დ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის დ[1] პუნქტი:

„დ[1]) ცნობები ცხოველის საკვების წარმოების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტირებული და გადასამუშავებლად დაშვებული ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის მახასიათებლებისა და ადგილწარმოშობის შესახებ;

11. კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით გასცემს ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების ლიცენზაიასა და საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებული, ცხოველის საკვების წარმოებისთვის განკუთვნილი, გენმოდიფიცირებული ორგანიზმის (გარდა სიმინდის, ხორბლისა და ვაზისა) იმპორტისა და გადამუშავების ლიცენზიას;".

მუხლი 2.

1. საქართველოს მთავრობამ 2027 წლის პირველ იანვრამდე მიიღოს დადგენილება ცხოველის საკვების წარმოების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტისა და გადამუშავებისთის დაშვებული ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სახეობათა შესახებ.
2. სამინისტრომ 2027 წლის პირველ იანვრამდე შეიმუშავოს და დაამტკიცოს საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებული, ცხოველის საკვების წარმოებისთვის განკუთვნილი, გენმოდიფიცირებული ორგანიზმის (გარდა სიმინდის, ხორბლისა და ვაზისა) იმპორტისა და გადამუშავების ლიცენზიის ფორმა.

მუხლი 3.

1. ეს კანონი, გარდა პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ კანონის პირველი მუხლი ამოქმედდეს 2027 წლის პირველი იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**